ოქმი N13

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი **2018 წლის 31 ოქტომბერი**

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 31 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 29 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის, მოსაკრებლის ოდენობისა და მოსაკრებლის გადახდის ქვითრის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 მარტის №16 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის N52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ნასარაია, მ. ლემონჯარია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: დ. ბერაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტიდან მიღებული რეკომენდაციის

საფუძველზე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც პეტიციის წარმდგენ სუბიექტს მიენიჭა უფლებამოსილება პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიის ბლანკის მოთხოვნის გარეშეც წარმოადგინოს პეტიცია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 86-ე მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი სახით მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ნასარაია, მ. ლემონჯარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N36 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ

საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიას, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივლისის N01/227 წერილით მიეწოდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სარეკომენდაციო წერილი COV 91800022730, „ხობის საპატიო მოქალაქეობის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N29 და „ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების დებულების დამტკიცების თაობაზე" ხობის მუნიციპალეტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N30 დადგენილებებთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნულია, რომ ზემო აღნიშნული ნორმატიული აქტები გამოცემულია ერთი და იმავე საკანონმდებლო საფუძვლით, კერძოდ: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ" ქვეპუნქტის მითითებით, რის გამოც მიზანშეწონილია აღნიშნული აქტების ერთ აქტად ჩამოყალიბება, ასევე აღინიშნა ის ფაქტი, რომ „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N67 დადგენილება არ შეიცავს ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს მინიჭებასთან დაკავშირებული გასაცემლის პროგრამულ კოდს, რაც გამორიცხავს აღნიშნული ღონისძიების განხორციელებას. მიღებული შენიშვნის თანახმად, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მუშავდება დადგენილების პროექტი ხობის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებასა და მინიჭებასთან დაკავშირებით, მიმდინარე ეტაპისთვის ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ", რომლითაც ძალადაკარგულად ცხადდება სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანოს დასკვნაში მითითებული ნორმატიული აქტები. გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ მომზადებული დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი სახით მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ნასარაია, მ. ლემონჯარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N37 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის, მოსაკრებლის ოდენობისა და მოსაკრებლის გადახდის ქვითრის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 მარტის №16 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის, მოსაკრებლის ოდენობისა და მოსაკრებლის გადახდის ქვითრის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 მარტის №16 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის რეკომენდაციის თანახმად, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის, მოსაკრებლის ოდენობისა და მოსაკრებლის გადახდის ქვითრის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 მარტის №16 დადგენილების ძალადაკარგულად

გამოცხადების თაობაზე. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ნასარაია, მ. ლემონჯარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N38 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის N52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის N52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ 2018 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა კანონი „სამხედრო ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“, რომლის ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, რაც ნორმატიული აქტის ბუნებიდან გამომდინარე იწვევს კონკრეტულ სფეროში მოქმედი სამართლებრივი

აქტების ცვლილებას. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის დებულების მე-2 მუხლში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლითაც რეგულირდება სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები. წარმოდგენილი პროექტით საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" თანხმად ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც ძირითადად შეეხება სამხედრო აღრიცხვიანობისა და გაწვევის სფეროს რეგულირებას, ენიჭება დადგენილი წესების დარღვევასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის და კანონმდებლობით გათვალისწინებული სახდელების დადების უფლებამოსილება. გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ მომზადებული დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი სახით მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ნასარაია, მ. ლემონჯარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N39 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: შ. კანკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ერთიანი მუნიციპალური პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და კოორდინაციისათვის, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის, შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულება. წარმოდგენილი დებულების თანახმად საბჭო წარმოადგენს ხობის მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ სათათბირო ორგანოს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს ხობის მუნიციპალიტეტში შშმ პირთა ღირსეული თანაცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პირობების შექმნის საკითხებს. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ნასარაია, მ. ლემონჯარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N40 ოქმს თან ერთვის)

კენჭისყრის დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში აქტიური ჩართულობის გამო და აღნიშნა, რომ არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, იმედი გამოთქვა განმეორებითი არჩევნებიც მშვიდ ვითარებაში, ექსესების გარეშე ჩაივლის.

სხდომის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა ბუდაპეშტში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრის ხობელ ნუგზარ წურწუმიას წარმატებების შესახებ და აღნიშნა, რომ მესამე ადგილისთვის გამართულ

შეხვედრაში ჩინელი ლიგუო ცაო, ანგარიშით 11-0 დაამარცხა და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. ეს გამარჯვება 2018 წელს, ხობელი მოჭიდავისთვის რიგით მესამე იყო. ასევე შეახსენა დამსწრე საზოგადოებას მის სხვა წარმატებებთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ მიმდინარე წელს ნუგზარ წურწუმიამ რუსეთის ქალაქ კასპიისკში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო 23 წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის ფინალში თურქი ერკემ ოზთურქი დაძაბულ ბრძოლაში 11-8 დაამარცხა და ევროპის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. სხდომის თავმჯდომარემ და საკრებულოს წევრებმა ხობელ ფალავანს ნუგზარ წურწუმიას და მის მწვრთნელებს კიდევ ერთხელ მიულოცეს მსოფლიო ჩემპიონატზე ღირსეული ასპარეზობა და მადლობის სიგელი და საჩუქარი გადასცეს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2018 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. ტარიელ ალექსანდრია
4. დავით ბერაია
5. თეა გელანტია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. დოდო გაბუნია
8. მერაბ ფილიპია
9. კახა ლატარია
10. თენგიზ აბაკელია
11. ბექა მამაცაშვილი
12. თემური გულუა
13. დავით ცინაძე
14. კონსტანტინე ნასარაია
15. იგორ გოგოლაძე
16. ლაშა ცატავა
17. აბელი ქირია
18. გენადი ქამანაია
19. კახა მიქაბერიძე
20. მზია ლემონჯარია
21. გოჩა სიჭინავა
22. გია წულაია
23. ავთანდილ ხუნჯუა
24. აკაკი ხურცლავა
25. ნიკოლოზ ვეკუა
26. კობა გოქაძე
27. გოჩა ჯობავა
28. ირაკლი ნადარაია
29. შადიმან ჭილაია
30. ია ჯიშკარიანი
31. გიგა ნასარაია